ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7285713

ნომერი: AR11064471

თარიღი : 01.11.2024

გაცემის თარიღი : 13.11.2024

გაცნობის თარიღი : 13.11.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ლეო კვაჭაძის ქუჩა, N 19ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვერიკო ბაბუციძე პ/ნ 59004005792
- გორი ს. აჩაბეთი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 11 ოქტომბრის №7250164 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 1 ნოემბერს №AR11064471 განცხადებით მომართა ვერიკო ბაბუციძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 11

ოქტომბრის №7250164 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 11 ოქტომბრის №7250164 ბრძანებით, №72.16.21.436 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (A-1) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 11 ოქტომბრიდან 2025 წლის 11 აგვისტოს ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია სამსახურის 2024 წლის 11 ოქტომბრის №7250164 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ განმარტავს, რომ შეთანხმებული „ა-დ“ და „დ-ა“ ფასადები, „ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები“, ასევე შენობა - ნაგებობის "სავიზიტო" სურათები შეუსაბამოა შეთანხმებულ +7.70 და +10.90 ნიშნულების გეგმებთან, კერძოდ „გ-დ“ და „დ-გ“ ღერძებში ფანჯრების მოწყობის ნაწილში. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას და აღნიშნული დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობაში მოყვანას.
სამსახურის მიერ წარმოდგენილი და შეთანხმებული დოკუმენტაციის გადამოწმებით დადგენილ იქნა, რომ შეთანხმებული „ა-დ“ და „დ-ა“ ფასადები, „ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები“, ასევე შენობა - ნაგებობის "სავიზიტო" სურათები შეუსაბამოა შეთანხმებულ +7.70 და +10.90 ნიშნულების გეგმებთან, კერძოდ „გ-დ“ და „დ-გ“ ღერძებში ფანჯრების მოწყობის ნაწილში. შესაბამისად, შესაძლებელია შეთანხმებულ ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება და „ა-დ“ და „დ-ა“ ფასადების, „ფოტომონტაჟისა და აქსონომეტრიული ხედების“, ასევე შენობა - ნაგებობის "სავიზიტო" სურათების შეთანხმებულ +7.70 და +10.90 ნიშნულების გეგმებთან ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა, კერძოდ „გ-დ“ და „დ-გ“ ღერძებში ფანჯრების მოწყობის ნაწილში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 11 ოქტომბრის №7250164 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 11 ოქტომბრის №7250164 ბრძანებაში და შეთანხმებული „ა-დ“ და „დ-ა“ ფასადები, „ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები“, ასევე შენობა - ნაგებობის "სავიზიტო" სურათები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი, გასწორებული ამავე ფასადებით, „ფოტომონტაჟითა და აქსონომეტრიული ხედებით“, ასევე შენობა - ნაგებობის "სავიზიტო" სურათებით.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 11 ოქტომბრის №7250164 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 11 ოქტომბრის №7250164 ბრძანებით ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.